

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო.

ეს წესი განსაზღვრავს ქ.ბათუმის №6 საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის გამლიერებული სწავლების ჯგუფში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების ჩარიცხვას და სწავლის პერიოდში მიღებული შედეგების შეფასებას;

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.წინამდებარე წესში მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტება:

ა) გამოცდის ადმინისტრატორი (შემდგომში გამოცდის ადმინისტრატორი) - სკოლის მიერ მოსწავლეთა ფიზიკასა და მათემატიკის გამოცდის პროცესში ორგანიზებული ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი;

ბ) გამოცდის რეგისტრატორი (შემდგომში - რეგისტრატორი) - პირი, რომელიც ახორციელებს მოსწავლეთა რეგისტრაციას და თვალყურს ადევნებს ტესტირების პროცესის მიმდინარეობას;

გ) გამსწორებელი - სკოლის მიერ შერჩეული სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს შესრულებული ტესტური ნაშრომი;

დ) დამკვირვებელი - პირი, რომელსაც სკოლამ მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი;

ე) მოსწავლე - პირი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების V-XII კლასისი მოსწავლე, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა სსიპ ბათუმის მე-6 საჯარო სკოლაში და წარმატებით გადალახა დადგენილი ბარიერი;

ვ) ვიდეო-გადაღება - სკოლის მიერ ორგანიზებული საგამოცდო პროცესის ვიდეო ჩაწერის გაკეთება;

ზ) საგამოცდო ცენტრი - ტესტირების ჩატარების მიზნით, სკოლის მიერ სპეციალურად მოწყობილი და აღჭურვილი შენობის ნაწილი;

თ) ტესტი - სკოლის მიერ, კონკრეტული კლასის/კლასების თითოეულ საგანში, შედგენილი საგამოცდო დავალებათა ერთობლიობა, არა უმეტეს 10 კითხვიანი ტესტი-კითხვარი, რომლის თითო საკითხი ფასდება 0,1-0,2-.....0,9; 1;2; ქულით;

ი) საგამოცდო ვადები - ყოველი თვის ბოლო კვირაში დირექტორის მიერ დამტკიცებული საგამოცდო დღეები;

კ) საგამოცდო შედეგების კომპეტენციის ზღვარი - მოსწავლის მიერ ტესტირების თითოეულ საგანში მიღებულ ქულათა რაოდენობის არანაკლებ 40 %; -ისა

ლ) საგამოცდო საგნობრივი საკითხები - ეროვნული სასწავლო გეგმის , სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი შესაბამისი საპროგრამო ან ფიზიკა-მათემატიკის გამლიერებული სწავლების ცენტრის საპროგრამო მასალა;

მ) დაშიფრის ინდივიდუალური სისტემა - სკოლის მიერ დადგენილი კოდირების სისტემა;

ნ) მოსწავლეთა რეგისტრაცია - სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები ქ. ბათუმის №6 საჯარო სკოლაში სარეგისტრაციოდ წარმოადგენს სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში შემდეგ საბუთებს: განცხადებას დირექტორის სახელზე, ფერად ფოტოსურათს 3×4-ზე, ცნობას სკოლიდან და დაბადების მოწმობის ასლს;

ო) ფიზიკისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრში მოსწავლეთა ჩარიცხვა - ამ პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, მოსწავლემ უნდა მიიღოს მონაწილეობა კონკურში და გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

პ) ფიზიკა-მათემატიკური გაძლიერებული სწავლების ცენტრის მასწავლებელთა რეიტინგული სია - ყოველი თვის ბოლო კვირას დანიშნულ გამოცდებზე ამ წესით დადგენილი წესით მოპოვებული ქულების შესაბამისად შედგენილი რეიტინგული სია უმაღლესიდან უმდაბლესისკენ;

ჟ) ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრის მასწავლებლის საერთო ქულა - თითოეული მოსწავლის მიერ გამოცდებზე მიღებულ ქულათა ჯამის მოსწავლეთა რაოდენობაზე გაყოფის შედეგად მიღებული ქულა;

**რ) საგამოცდო დავალებათა ბანკი** - სკოლის მიერ საგნის შესაბამისად შექმნილი საგამოცდო დავალებების მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია თითოეული გამოცდისათვის შეიქმნას ტესტი;

ს) საპრეტენზიო კომისია - გამოცდებში მიღებულ შედეგთან და პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით, გამოცდებში მონაწილეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მიზნით, თითოეული საგნის და პროცედურული დარღვევის მიხედვით, სკოლის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით შექმნილი დროებითი ორგანო;

**მუხლი 3. ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრის მიზანია:**

**3.1** მოსწავლეთა შორის ფიზიკა-მათემატიკის საგნების სწავლის ინტერესის გაღვივება;

**3.2** სწავლა-სწავლების სტანდარტის ამაღლება როგორც სპეციალიზირებულ საგნებში, ასევე საავალდებულო საგნებში;

**3.3** ფიზიკა-მათემატიკური ცოდნის პოპულარიზაცია;

**3.4** გამოცდების შედეგების მიხედვით მოსწავლის და მასწავლებლის საგნობრივი რეიტინგის დადგენა.

## თავი II. მოსწავლეთა ჩარიცხვა და გამოცდების ჩატარების წესი

### მუხლი 4. საგამოცდო ტესტირების მიმდინარეობა.

- 4.1 მოსწავლეების ტესტირება ჩატარდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად:
  - 4.1.1 თითოეულ საგანში საგამოცდო დრო განისაზღვრება ერთი საათითა და 30 წუთით.
  - 4.1.2 საგნობრივი გამოცდები ჩატარდება სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან 20 ივნისამდე ყოველი თვის ბოლო კვირას შემდეგი პრინციპით: დღეში არაუმეტეს ერთი გამოცდისა;
  - 4.1.3 საგამოცდო ცენტრში მოსწავლეთა გამოცხადებას საგამოცდო განრიგის შესაბამისად 5 წუთით ადრე უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინატორი და პასუხისმგებელია მის შესრულებაზე.
  - 4.1.4 საგამოცდო ტესტის მომზადებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული იმ საგნის პედაგოგი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შესაბამის კლასს/ჯგუფს საგამოცდო საგანს არ ასწავლის;
  - 4.1.5 4.1.4 ქვეპუნქტში მითითებულ პირებს მე-2 პუნქტის „ლ“ პუნქტით გათვალისწინებული საგამოცდო საკითხებს აწვდის არაუგვიანეს 10 დღისა გამოცდის დაწყებამდე და დალუქულ საგამოცდო პაკეტს აბარებს გამოცდის კოორდინატორს შესაბამისი ოქმის საფუძველზე.
- 4.2 საგამოცდო ტესტის შედგენისას შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაიცვას ტესტში მითითებული საკითხების საიდუმლოება შედგენის მომენტიდან ამ წესის 4.1.3 პუნქტის შესრულებამდე;
- 4.3 რეგისტრაციის შემდეგ მოსწავლე განთავსებული იქნება მისთვის განკუთვნიებულ ადგილას;
- 4.4 გამოცდების დაწყებამდე მოსწავლეების თვალწინ იხსნება საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეულებისა და პასუხების ფურცლების დალუქული შეკვრა;
- 4.5 ტესტირების დაწყებამდე მოსწავლეებს მოკლედ გააცნობენ გამოცდების ჩატარებისა და საგამოცდო დავალებათა რვეულის გამოყენებისა და პასუხების ფურცლის შევსების წესებს, მის უფლება-მოვალეობებს, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. სამუშაო დრო გამოცდის თითოეული ნაწილისთვის განსხვავებულია და მეთვალყურე უზრუნველყოფს, რომ დროის ათვლამდე მოსწავლეს არ ჰქონდეს მუშაობის დაწყების საშუალება.
- 4.6 მოსწავლე ვალდებულია:
  - ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს ტესტირებაზე - ტესტირების დროის ათვლის დაწყების შემდეგ მოსწავლე ტესტირებაზე არ დაიშვება;
  - ბ) თან იქონიოს ბურთულიანი ავტოკალამი (შავი, ლურჯი ან იისფერი);
  - გ) ტესტირების (სამუშაოს) დამთავრების შემდეგ საგამოცდო ტესტის ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ უწყისში;
  - დ) შეასრულოს ამ წესით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და მეთვალყურის ცალკეული მითითებები;
- 4.7 ტესტირების მსვლელობისას მოსწავლეს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის, პეიჯერის ან სხვა ელექტრონული აპარატის ქონა;

ბ) ტესტირებაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება;

გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა, ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა მოსწავლეთათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

დ) სამუშაო ადგილის უნებართოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ მეთვალყურის თანხმობით.

4.8 ამ მუხლის 4,6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლეს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება სკოლის დირექციის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის ოქმით. დარღვევის განმეორების შემთხვევაში ფორმდება ოქმი მოსწავლის გამოცდიდან მოხსნის შესახებ. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით მოსწავლეს უფლება აქვს ტესტირების პროცესის მონაწილე პირების მიმართ ამ წესის მე-7 მუხლის საფუძველზე წარმოადგინოს პრეტენზია, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას ჩაუტარდება ტესტირება 10 დღის ვადაში. გაფრთხილების გარეშე მოსწავლის ტესტირებიდან მოხსნა შესაძლებელია წესრიგის უხეში დარღვევის, ტესტირების პროცესში მონაწილე პირის შეურაცხოვის ან სხვა მსგავს შემთხვევაში, რაც აგრეთვე ფორმდება ოქმით.

4.9 ტესტირების დროის ამოწურვამდე, სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში, მოსწავლეს უფლება აქვს, ტესტური დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელის ჩაბარების შემდეგ დატოვოს დარბაზი საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის თანხმობით.

4.10 ტესტირების დროის ამოწურვის ან მოსწავლის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ მეთვალყურე ამოწმებს თითოეული მოსწავლის ტესტურ დავალებათა რვეულის გვერდების რაოდენობას, პასუხების ფურცელზე სახელისა და გვარის მითითებას და მოსწავლის მიერ უწყისში ხელმოწერის შემდგომ იბარებს მათ.

4.11 ჩატარებულ ტესტურ დავალებათა რვეულები და პასუხები იკვრება საგნობრივად და ბარდება სკოლის კანცელარიაში.

4.12 გამოცდების პერიოდში ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში სკოლა ატარებს ხელახალ ტესტირებას არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

## მუხლი 5. ტესტირების პროცესის კონტროლი და მეთვალყურეობა.

5.1. ტესტირების მიმდინარეობის დროს საგამოცდო ცენტრში დაიშვებიან:

ა) პირი, რომელსაც აქვს სკოლის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი;

ბ) სკოლის კოორდინატორი;

გ) დამკვირვებელი;

დ) რეგისტრატორი;

ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი.

5.2. ტესტირების მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში ყოფნის უფლება აქვს:

ა) სკოლის ადმინისტრატორს;

ბ) დამკვირვებელს.

გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტს;

5.3. ტესტირების მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრატორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იმყოფებოდნენ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები.

5.4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტესტირების მიმდინარეობას. მას ეკრძალება ტესტის შინაარსთან დაკავშირებით მოსწავლის დახმარება ან მისი მუშაობისათვის ხელის შეშლა.

5.5. ტესტირების ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრებში ტესტირების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ დამკვირვებლები. დამკვირვებელთა რაოდენობის განსაზღვრა, მათი დანიშვნა ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5.6. დამკვირვებელი შეიძლება იყოს სასწავლო პროცესში მონაწილე პირი, რომელმაც დირექტორის მიერ დადგენილ ვადაში გააკეთა განაცხადი დამკვირვებლად რეგისტრაციის მოთხოვნით და რომელსაც დირექტორის მიერ მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი.

## **მუხლი 6. ტესტური ნაშრომის შემოწმება.**

6.1 საგამოცდო ცენტრიდან მიღებული (ოქმის საფუძველზე) ნაშრომების გასწორება ხდება საგნობრივი გამოცდების დამთავრებიდან მე-2 დღეს და საჯაროდ ქვეყნდება არაუგვიანეს მე-6 დღისა საიდენტიფიკაციო კოდის მეშვეობით 6.2

გამსწორებელთა ანონიმურობა დაცულია. ტესტირების შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელიც რეგისტრაციას გაივლის კანცელარიაში.

## **მუხლი 7. ტესტირების გასაჩივრების პროცედურა და საბოლოო შედეგები.**

7.1 ნაშრომის ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ;

7.2 ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) ტესტის შეფასებას; ტესტირების მონაწილეს უფლება აქვს ტესტის შეფასების თაობაზე წარუდგინოს კომისიას საპრეტენზიო განაცხადი;

ბ) სხვა მოსწავლის მიმართ ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას ტესტირების პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ (მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენა, აკრძალული ნივთების მიწოდება და.ა.შ);

7.3 თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვის შედეგად დადასტურდება პრეტენზიის წარმდგენი მოსწავლის უფლებების დარღვევა სხვა მოსწავლის მიერ, მაშინ საპრეტენზიო კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის ნაშრომის ნული ქულით შეფასების თაობაზე, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილია ტესტირების პროცესში სხვა მონაწილის მიერ (ადმინისტრატორის, ადმინისტრატორის თანაშემწე, მეთვალყურე) მიერ საპრეტენზიო კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

7.4 ამ წესის 4.1.6 პუნქტის გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვისას დადასტურდება პრეტენზიის წარმდგენი პირის მიერ შესაბამისი ფაქტი ( რაიმე სახის საგამოცდო ინფორმაციის

გაცემა ან მოსწავლის წინასწარ მომზადება), მაშინ შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე გატარდება დისციპლინური სახდელი;

7.5 ამ წესში მონაწილე პირების მიერ ამ წესით გათვალისწინებული პირობების დარღვევა ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად და შესაბამისი რეაგირებისათვის მათი საკითხი გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს.

7.6 გამოცდებში მონაწილის მშობელს (მეურვე) უფლება აქვს ნაშრომის შეფასების თაობაზე წარმოადგინოს საპრეტენზიო განაცხადი გამოცდის კითხვარებისა და პასუხების ოფიციალურ გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში. ოლიმპიადის მონაწილის საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს ტესტის იმ დავალების ნომერი, რომლის თაობაზეც წარმოდგენილია პრეტენზია.

7.7 საპრეტენზიო კომისია განიხილავს მხოლოდ ტესტის იმ დავალების შეფასების სისწორე, რომელის მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო კომისია განაცხადს განიხილავს განაცხადის შეტანიდან 5 დღის განმავლობაში

## **მუხლი 8. ფიზიკა–მათემატიკის გამლიერებული სწავლების ცენტრში მისაღები მოსწავლეთა კონტიგენტი და ჩარიცხვა.**

8.1 ფიზიკა–მათემატიკის გამლიერებული სწავლების ცენტრში მოსწავლეთა მისაღები კონტიგენტი განისაზღვროს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

8.2. სკოლის გამოცდებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადებების განხილვის შემდეგ სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დგება მოსწავლეთა ჩარიცხვის სია;

8.3. ჯგუფებში ჩარიცხება ის მონაწილე, რომელმაც გამოცდაში დააგროვა შესაბამისი საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის 40 % –ზე მეტი და მოხვდა შესაბამისი ჯგუფის რეიტინგული სიის მისაღებ კონტიგენტში;

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ტესტირების შედეგების შეჯამების შემდეგ მონაწილეებს დაუგროვდათ თანაბარი ქულები, რეიტინგული სიის შექმნისას გათვალისწინებული იქნება ასაკი და უპირატესობა მიენიჭება უმცროსს .

8.4 თუ მისაღები გამოცდის შედეგად ჯგუფი ვერ დაკომპლექტდა, სასწავლო ცენტრი გამოცდების დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში ატარებს განმეორებით მისაღებ გამოცდებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების V-XII კლასის მოსწავლეთათვის;

8.5 ეს წესი ამოქმედდეს 2011 წ. 12 სექტემბრიდან.